

ზეინკლის

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მესამე საფეხურის ზეინკლის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა.

II. პროფესიული განათლების საფეხური: მესამე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ზეინკლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

IV. პროგრამის მოცულობა: 45 კრედიტი (1 კრედიტი - 25 სთ), სულ 1125 საათი.

აქედან:

სასწავლო კომპონენტისათვის 452 საათი; დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 135 საათი; ტესტირებისა და გამოცდისათვის – 40 საათი; პრაქტიკის კომპონენტისათვის – 498 საათი.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე სასწავლებლად დაიშვების მინიმალური პირობაა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბაზო საფეხური.

VI. პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს მესამე საფეხურის ზეინკალი, რომელსაც შეუძლია: საზეინკლო დამუშავება 7-8 ქველიტეტის სიზუსტით; საშუალო და მაღალი სირთულის კვანძების, მექანიზმების აწყობა, გამართვა, რეგულირება და მომსახურება; დეტალების დასაშლელი და დაუშლელი შეერთება; დეტალების ჩაწნეხა ჰიდრავლიკურ და მექანიკურ წნეხებზე;

VII. სწავლის შედეგი:

მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:

ცოდნა და გაცნობიერება	იცის: <ul style="list-style-type: none">-სამუშაო ადგილის მომზადება, ორგანიზება და მოვლა;-დეტალების საზეინკლო დამუშავება და მორგება 7-8 ქველიტეტის სიზუსტით;-საშუალო სირთულის კვანძების და მექანიზმების აწყობა, რეგულირება, გამოცდა სტენდებზე, ჰიდრავლიკურ და გამოსაცდელ სპეციალურ დანადგარებზე;-აწყობა და გამოცდის დროს გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა;-შრომის და წარმოების მოწინავე მეთოდების და გამოცდილების გამოყენება;-ხანზარსაწინაარმდეგო საშუალებების გამოზენება, შრომის უსაფრთხოების წესები, ნორმები და შინაგანაწესი;-შრომის რაციონალური ორგანიზაცია სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები. აცნობიერებს მესამე საფეხურის ზეინკალის საქმიანობას
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია: <ul style="list-style-type: none">-მარტივი და რთული სამუშაო იარაღების, უნივერსალური და სპეციალური საზომ-საკონტროლო იარაღების გამოყენება საზეინკლო დამუშავებისათვის და აწობის პროცესში;-მოახდინოს ჭრა, სწორება, ღუნვა, გადაჭრა, გადახერხვა, ბურღვა, ზოლურას მოჭრა, ზენკერება, განშლა, მირჩილვა, დამოქლონება, ხეწვა, მუშაობა მექანიზირებული იარაღით;-შეასრულოს დასამონტაჟებელი დეტალის, კვანძის, აგრეგატის დაცენტრება, აწყობა, გამოცდა და გამართვა-რთული კვანძების და მექანიზმების აწყობა რეგულირება და გამოცდა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის ხელმძღვანელობით.
დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაოს პროცესში გამოვლენილი ისეთი პრობლემების გადაწყვეტა როგორცაა: ნაკეთის მტყუნების და ავარიის მიზეზის დადგენა და აღმოფხვრა.

კომუნიკაციის უნარი	<i>აქვს უნარი აწარმოოს</i> მესამე საფეხურის ზეინკალის პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია დამკვეთთან, მომხმარებელსა და დამქირავებელთან, დავალების და ინფორმაციის მიღება
სწავლის უნარი	<i>აქვს უნარი</i> შეისწავლოს რთული საზეინკლო სამუშაოები. რთული აგრეგატების მანქანების და ჩარხების აწყობის, სტენდზე და სპეციალურ დანადგარებზე გამოცდის პროცესი.
ღირებულებები	<i>აქვს</i> პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებები: შეუძლია რთული საზეინკლო სამუშაოების კვალიფიცირებული შესრულება. გააჩნია პასუხისმგებლობა შესასრულებელი სამუშაოებისადმი.

VIII. სწავლის შედეგების რუქა

საგნები	ცოდნა და განზოგადება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
საზეინკლო სამუშაოები	X	X	X	X	X	X
ხაზვა	X	X				X
კომპიუტერული ტექნოლოგიები	X	X	X	X		
უცხო ენა	X		X	X		
პრაქტიკა	X	X	X	X	X	X

IX. სასწავლო გეგმა

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა					სულ საათების რაოდენობა	
		საკონტაქტო საათები						
		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		დამოუკიდებელი საათები
საზეინკლო სამუშაოები	15	290	32			8	45	375
ხაზვა	2	36				8	6	50
კომპიუტერული ტექნოლოგიები	3	58				8	9	75
უცხო ენა	2	36				8	6	50
პრაქტიკა	23			199	299	8	69	575
სულ	45	420	32	199	299	40	135	1125

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;

- საწარმოო პრაქტიკას;
- ტესტების ჩაბარებას;
- გამოცდების ჩაბარებას;
- პრეზენტაციას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- **(A)** - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- **(B)** - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- **(B)** - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- **(E)** - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- **(F)** - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება;
- ზეპირი გამოკითხვა;
- პრეზენტაცია.
- დაკვირვება და დემონსტრირება.

XII. სწავლების მეთოდები:

თეორიული სწავლება;

პრაქტიკული მეცადინეობა;

სასწავლო პრაქტიკა;

საწარმოო პრაქტიკა.

XIII. ინფორმაცია პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ადამიანური რესურსების შესახებ

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
საზენკლო სამუშაოები/ პრაქტიკა	ინაშარიძე ქეთევანი	დოქტორი
	მერი სტურუა	ინჟინერ-მექანიკოსი
ხაზვა	ინაშარიძე ქეთევანი	დოქტორი
კომპიუტერული ტექნოლოგიები	ჩავლეშვილი გოჩა	დოქტორი
უცხო ენა	ბაბაიანი დიმიტრი	ინგლისური ენის სპეციალისტი

XIV. ინფორმაცია პროფესიულ პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ მატერიალურ რესურსის შესახება მი

რსუ საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ზეინკალის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები და თვალსაჩინოებანი.

XV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო სწავლებას და საწარმოო პრაქტიკას გადის სამშენებლო კომპანია "გუმბათი-1" -ში (მემორანდუმი)

XVI. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მესამე საფეხურის ზეინკალის პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ, სტუდენტს საშუალება ეძლევა გააგრძელოს სწავლა მეოთხე საფეხურის მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის პროგრამით.